ხელშეკრულება № 2022/45-41

სამეცნიერო - ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე

ქ. თელავი 6 აპრილი, 2022 წელი.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 (წოდებული შემდგომში „შემსრულებლად“), მისი აღმასრულებელი დირექტორის ნინო პავლიაშვილის სახით და მეორეს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ”შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მზია მაისურაძის სახით (წოდებული შემდგომში „დამკვეთად“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტის - **598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP** **,,საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით/უმაღლესი განათლების ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე" (HERD) ფარგლებში ელექტორნული წიგნების რამოდენიმე მიმართულებით შესყიდვა.**

https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:education

https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:linguistics

https://oxford.universitypressscholarship.com/browse?t=OSO:environmentalScience

1.1 შემსრულებელი, პროექტ "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" ფარგლებში, დამკვეთს აძლევს 1.2 პუნქტში გათვალისწინებული საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების უფლებას.

1.2 დამკვეთს ეძლევა უფლება მიიღოს მონაწილეობა პროექტში "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL", კერძოდ:
-გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსი:

- Oxford Scholarship Onlaine, კერძოდ წვდომა მონაცემებზე:
  - ✓ Education;
  - ✓ Environmental Science;
  - ✓ Linguistics

1.3 შემსრულებელი იძლევა საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უფლებას, ამ უფლების მესამე პირთათვის გადაცემის უფლების გარეშე, იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც წამოყენებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

CPV- 48610000 - მონაცემთა ბაზის სისტემები.

1.1 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.
1.2 შესყიდვის საფუძელი - - სსიპ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები.
1.3 დაფინანსების წყარო - გრანტი-კრედიტი.

2. მხარეთა პასუხისმგებლობა

2.1 შემსრულებელი არ წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინფორმაციო რესურსების მესაკუთრეს. იგი, როგორც ასეთი რესურსების მართლზომიერად მოსარგებლე ორგანიზაცია, გადასცემს დამკვეთს ხელშეკრულების საგანში დასახელებულ საინფორმაციო რესურსების გამოყენების უფლებას იმ სახით, როგორც იგი მას მიიღებს საინფორმაციო რესურსების მიმწოდებლისგან, დამატებითი შეზღუდვების გარეშე.

2.2 დამკვეთს არ გადაეცემა საინფორმაციო რესურსებზე საავტორო უფლება.

2.3 შემსრულებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების საგანში მოყვანილი საინფორმაციო რესურსების გამოყენებისას დამკვეთს გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურება:

- დამკვეთის სახელით ურთიერთობა მომწოდებელთან (მათ შორის ფინანსური ანგარიშსწორება);
- ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა და კონსულტაციები, შესაძლებლობის ფარგლებში;
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საინფორმაციო რესურსების მიმწოდებლისგან სათანადო ლიცენზიების მოპოვება (გახანგრძლივება) და მათთან ხელშეკრულების გაგრძელება შემდგომი წლებისათვის;
- ტრენინგი / სწავლება.

2.4 შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი სხვა ორგანიზციების მიერ მისთვის მოწოდებული საინფორმაციო რესურსების შიგთავსზე და იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება დამკვეთის ურთიერთობებს იმავე ან სხვა მომწოდებლებთან წინამდებარე ხელშეკრულების გარეთ, საგანს მიღმა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი დამკვეთის წინაშე ვალდებულია მხოლოდ, რომ უზრუნველყოს დამკვეთის წვდომა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საინფორმაციო რესურსებზე.

2.5 საინფორმაციო რესურსების მიწოდები სფორმისა და პირობების სიმრავლის შემთხვევაში, დამკვეთს აქვს უფლება აირჩიოს მათგან მისთვის ხელსაყრელი.

2.6 დამკვეთი ვალდებულია არ დაუშვას ხელშეკრულებით მიღებული მასალების ან ასლების და კონფიდენციალური ინფორმაციის (სარეგისტრაციო კოდი, პაროლი, და სხვა) გადაცემა მესამე ორგანიზაციებისა და პირებისათვის და მათი გამოყენებისას დაიცვას საინფორმაციო რესურსების მიმწოდებლის მიერ დაწესებული შეზღუდვები და პოლიტიკები.

2.7 მონაცემთა ბაზის გამოყენების უფლება ენიჭება დამკვეთის ყველა თანამშრომელს, ქვეგანყოფილებას, მკითხველებს, სტუდენტებს, ისე, რომ შეზღუდული იქნეს მათი გამოყენება იმ პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ, რომლებზეც არ ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულება.

2.8 ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთის მიერ გადახდილი მომსახურების საფასური რჩება შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსრულებლის მიერ ვალდებულებათა უხეში დარღვევით არის გამოწვეული.

3. გადასახადები

3.1 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში გადაიხადოს მომსახურების საფასური, შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3.2 2022 წლისათვის წლის მომსახურების საფასური (ხელშეკრულების გათვალისწინებული რესურსების შესაბამისად) შეადგენს 2000 (ორი ათასი) დოლარის ეკვივალენტს ლარში, გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. მიმდინარე კურსი 1USD =3.0857 ლარი.

3.3 ხელშეკრულების თანხა შედგენს 6225(ექვსი ათას ორას ოცდახუთი) ლარს.

4. ფორს-მაჟორი ანუ გაუთვალისწინებელი საკითხები

4.1. ხელმომწერი მხარე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებისაგან თავისუფლდება ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ შეუსრულებლობა განპირობებული იყო გადაულახავი დაბრკოლებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, დესტაბილიზაცია სახელმწიფოში), რასაც ხელშეკრულების დადების მომენტში ხელმომწერი მხარე ვერ გაითვალისწინებდა მის ხელთარსებული საშუალებებით.

4.2 ხელმომწერი მხარე ან მისი კანონიერი მემკვიდრე (მეურვე), რომელიც გადაულახავი დაბრკოლების პირობებს იმოწმებს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მეორე მხარეს წერილობით. თუ ხელმომწერი მხარე შესაბამის შეტყობინებას არ გაუგზავნის ან დააგვიანებს, იგი მოვალეა მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს მეორე მხარეს.

5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1 ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხარეთა თანხმობით. ელექტრონული რესურსების შიგთავსის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება. ასეთი ცვლილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით და დამკვეთს დაუბრუნდება გადახდილი თანხის ნაწილი, ხელშეკრულების დარჩენილი ვადის პროპორციულად.

5.2 სადავო საკითხების გადაწყვეტისას მხარეები ეცდებიან მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას კომპრომისების გზით.

5.3 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან.

5.4 ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

6.1 მხარეთა მიერ მომსახურების გაწევა ხდება მიმდინარე წლის 1 მაისიდან ხელშეკრულების გაფორმებისთადა მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

6.2 ხელშეკრულების ცვლილების ან გააუქმების შესახებ მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს არანაკლებ 1 თვით ადრე.

6.3 ხელშეკრულება ძალაშია მიმდინარე წლის 6 აპრილიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 ივნისამდე.

6.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია საქართველოს კანონის - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ - მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

მიმწოდებელი:

ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017
საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვასილ პეტრიაშვილის ქ., N 20, ბინა N6
ტელ:
საიდენტიფიკაციო კოდი: 404533251
საბანკო რეკვიზიტები:
თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი, კოდი : TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE32TB7275336080100012
აღმასრულებელი დირექტორი:

ნინო პავლიაშვილი

შემსყიდველი:

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის 1
ს. კ. 231187168
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგN/ სახაზინო კოდი : 32 04 06 11
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მზია მაისურაძე

<u>ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ</u>

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ 2022 წლის 6 აპრილის N 41 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.